



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 66

07 08 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის  
 N03/7155 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 აგვისტოს სხდომის N13 ოქმის მე-9 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 8 ივნისის N2612-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, 2015 წლის 2 მარტის N1 მემორანდუმის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ ყიზილ-აჯლოში მდებარე გამგებლის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 460,06 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი N83.01.04.579) 396,81 კვ.მ. ფართი (სარდაფი – 133,65 კვ.მ., I სართული – 112,58 კვ.მ., II სართული – 133,65 კვ.მ.) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი